186
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1978 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1978 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

77. რძის, ცხვრისა და თხის, კარტოფილისა და ცალკეულ სახეობათა ბოსტნეულის შესასყიდ ფასების შესახებ.
78. საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

79. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 2 სექტემბრის № 737 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
80. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ
81. წყალსაცავების ჯეროვანი ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ორგანიზაციისა და კოორდინაციის წესის და ამ ღონისძიებათა შესრულების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

82. დაწესებული ლიმიტის გადამეტებით საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დანაგროვი წყლის ღირებულების გადიდებული ანაზღაურების შესახებ.

83. „საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 172 დადგენილების დანართში დამატების შესახებ.

84. საქართველოს სს რესპუბლიკაში ანტიკოროზიული სამსახურის სრულყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

77 რძის, ცხვრისა და თხის, კარტოფილისა და ცალკეულ სახეობათა გოსტნეულის შესასყიდი ფასების შესახებ

ამონაკრები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1979 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული რძის, ნაღებისა და ერბო-კარაქის შესასყიდი ფასები შემდეგი ოდენობით:

რძე და ნაღები

ტონა საბაზისო ცხიმიანობის რძისათვის			კილოგრამ ნაღებში 10 პროცენტი ცხიმისათვის (კაპიკი)
I ხარისხისა	II ხარისხისა	არასტანდარტული	60
321	300	279	

ერბო-კარაქი

	კილოგრამი ერბო-კარაქისათვის (მანეთი და კაპიკი)
კარაქი — სტანდარტული (ცხიმის შემცველობა — არანაკლებ 81 პროცენტი) და უმარილო (ცხიმის შემცველობა — არანაკლებ 83 პროცენტი):	
უმაღლესი ხარისხი	3-40
პირველი ხარისხი	3-00
ერბო — სტანდარტული (ცხიმის შემცველობა — არანაკლებ 98 პროცენტი):	
უმაღლესი ხარისხი	3-60
პირველი ხარისხი	3-40
კარაქი (ცხიმის შემცველობა — არანაკლებ 75 პროცენტი)	2-30
ერბო (ცხიმის შემცველობა — არანალებ 95 პროცენტი)	3-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყიდული პირველი ხარისხის რძისათვის, რომლის ტემპერატურა მიღების მომენტში არ აღემატება 10 გრადუსს ცელსიუსით, დამატებით გაიცეს 5 მანეთი ფასდანამატი ტონა საბაზისო ცხიმიანობის რძეში.

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები კარაქსა და ერბოს (სტანდარტულს) მიჰყიდიან უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, ანგარიშსწორება განხორციელდება სახელმწიფო საცალო ფასებში სავაჭრო ფასდაკლების გამოქვითვით.

2. დაწესდეს 1979 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ცხვრისა და თხის შესასყიდი ფასები, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და დიფერენცირებულია საქართველოს სსრ რაიონების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად გათვალისწინებული ოდენობით.

ერთ წლამდე ასაკის მოზარდეული ცხვრის ღირებულება, ტყავის ცხიმის დაგროვების მიუხედავად, ანაზღაურდეს უმაღლესი ნაკვებობის ცხვრის ფასებში, თუ ცოცხალი წონაა არანაკლებ:

სახორცქონე ჯიშების ცხვრისა	— 30 კგ
დანარჩენი ჯიშების ცხვრისა	— 28 კგ

საბეწვე და საქურქე ტყაპუჭის სტანდარტების შეუსაბამო მატყლიანი და ნახევრად-მატყლიანი ცხვრის, აგრეთვე დაბალმატყლიანი ცხვრის (ყარაკულისა და გისარის ცხვრის გარდა) ღირებულება ანაზღაურდება 15 პროცენტი ფასდაკლებით.

3. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1979 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული საგვიანო სასურსათო კარტოფილის შესასყიდი ფასები ტონისათვის 180 მანეთის ოდენობით.

5. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1979 წლის 1 იანვრიდან კიტრისა და პამიდორის შესასყიდი ფასები, რომლებიც დიფერენცირებულია ზონებისა და შემოსვლის ვადების მიხედვით, № 2 დანართის თანახმად.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინიტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მიიღონ გადაუდებელი ზომები მწვანილეულის (ძირთეთრა, მჟაუნა, ისპანახი, ოხრახუში, კამა, ნიახური, სალათა, მწვანე ხახვი და სხვ.), აგრეთვე პატისონის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისა და ამ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

ნება დაერთოთ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, მოყოლებული 1979 წლის 1 იანვრიდან, შეისყიდონ კოლმეურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან, აგრეთვე სახლეობისაგან ზემოაღნიშნული პროდუქცია მხარეთა შეთანხმებით დათქმულ ფასებში.

მწვანილეულისა და პატისონის საცალო ფასებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან შეთანხმებით მათზე მოთხოვნისა და მიწოდების, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ამ პროდუქტების უზარალოდ რეალიზაციის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ხელმძღვანელები, იხელმძღვანელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის დადგენილებით, გააჩაღებენ ბრძოლას მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლგინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 28 დეკემბერი, № 768

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 28 დეკემბრის № 768 დადგენილების დანართი № 1

საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობების და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ცხვრისა და თხის შესასყიდი ფასები

(მანეთობით ტონა ცოცხალი წონისათვის)

	უმაღლესი ნაკვეთ-ბისა	საშუალო ნაკვეთ-ბისა	საშუალოზე ნაკლებ-ი ნაკვეთებისა	მეჩხერ (აბასანდარტული)
I ზონა				
აჭარის ასსრ ქედის, შუახევის, ხულოს რაიონები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის, ჯავის, ლენინგორის, ზნაურის რაიონები, დუშეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, თიანეთის, ცაგერის, ონის, ამბროლაურის, მესტიის რაიონები	1830	1530	1150	930
II ზონა				
ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დმანისის, თეთრი წყაროს, წალკის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გულრიფშის, გუდაუთის რაიონები	1710	1410	1050	870
III ზონა				
დანარჩენი რაიონები	1630	1300	740	790

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 28 დეკემბრის № 768 დადგენილების დანართი № 2

საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული მეურნეობების და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული კიტრისა და პამიდორის შესასყიდი ფასები

(მანეთობით ტონისათვის)

I ზონა: ახალციხის, ადიგენის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, ბორჯომის, მცხეთის, დუშეთის რაიონები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

	კიტრი	პამიდორი
დეკემბერ-მაისი	2000	2500
ივნისი	500	800
ივლისი	340	250
აგვისტო	340	260
სექტემბერი	400	260
ოქტომბერი	500	360
ნოემბერი	1500	1000

II ზონა: ყველა დანარჩენი რაიონი, რომლებიც I ზონაში არ შესულა

დეკემბერ-მაისი	2000	2500
ივნისი	500	800
ივლისი	220	250
აგვისტო	220	200
სექტემბერი	300	200
ოქტომბერი	500	300
ნოემბერი	1500	1000

ეროვნული ბიბლიოთეკა

78 საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის წინადადება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, საინჟინრო ჯარების მარშლის, ლენინური პრემიის ლაურეატის არჩილ ვიქტორის ძე გელოვანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. დაერქვას საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის სახელი:

ა) ქალაქ თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას;

ბ) ცაგერის რაიონის ერთ-ერთ საშუალო სკოლას.

2. დაწესდეს საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის სახელობის ერთი სტიპენდია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასტიპენდიო ფონდიდან სამშენებლო ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

3. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) დაარქვას საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

ბ) გაუკეთოს მემორიალური დაფები საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის პირველი საშუალო სკოლის შენობებს.

4. ეთხოვოს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს დაარქვას საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის სახელი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ერთ-ერთ მშენებარე გემს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გამოსცეს ქართულ და რუსულ ენებზე წიგნი საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს შექმნას დოკუმენტური ფილმი ა. ვ. გელოვანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 21 დეკემბერი, № 775

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დადგენილებები

79 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 2 სექტემბრის № 737 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მიწის კანონმდებლობის და გეოდეზიისა და კარტოგრაფიის კანონმდებლობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 2 სექტემბრის № 737 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „მოსახლეობისათვის მისაყიდი ავეჯის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 ნოემბრის № 1569 დადგენილების 23-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი მიწის ნაკვეთების გამოყოფის ვადის ნაწილში;

ბ) „ნახმარი ხის ტარის გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 9 დეკემბრის № 1103 დადგენილების მე-2 პუნქტი მიწის ნაკვეთების გამოყოფის ვადის ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 2 ნოემბერი, № 665

80 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტები:

„101. საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ეკუთვნით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ქარხნებსა და სარემონტო საწარმოებს:

— გულრიფშის საწარმოო გაერთიანებას „რაიონთაშორისსოფლტექნიკას";
— გურჯაანის საწარმოო გაერთიანებას „რაიონთაშორისსოფლტექნიკას";
— გორის საწარმოო გაერთიანებას „რაიონთაშორისსოფლტექნიკას";
— წყალტუბოს საწარმოო გაერთიანებას „რაიონთაშორისსოფლტექნიკას";
— მახარაძის საწარმოო გაერთიანებას „რაიონთაშორისსოფლტექნიკას";
— ზუგდიდის საწარმოო გაერთიანებას „რაიონთაშორისსოფლტექნიკას";
— ქობულეთის საწარმოო გაერთიანებას „რაისოფლტექნიკას";
— გაგრის საწარმოო გაერთიანებას „რაისოფლტექნიკას";
— ბორჯომის საწარმოო გაერთიანებას „რაისოფლტექნიკას";
— მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რესპუბლიკურ კანტორას (გარდაბნის რაიონი, სოფ. გაჩიანი);
— ჩრდილოეთ კავკასიის საწარმოო გაერთიანებას „რაისოფლტექნიკას" (დაღესტნის ასსრ, ქ. კოჩუბეი);
— ქუთაისის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზას;
— დიღმის საცდელ სარემონტო-მექანიკურ ქარხანას;
— ქარელის ავტოსარემონტო ქარხანას;
— საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხანას;
— თელეთის საცდელ-ექსპერიმენტულ ქარხანას.

102. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის საცხოვრებელი სახლები (ყანობილის მთაზე და აბასთუმანში)".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 13 დეკემბერი, № 728

ეროვნული ბიბლიოთეკა

81 წყალსაცავების ჯეროვანი ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ორგანიზაციისა და კოორდინაციის წესის და ამ ღონისძიებათა შესრულების შესახებ

„წყალსაცავების ჯეროვანი ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ორგანიზაციისა და კოორდინაციის წესის და ამ ღონისძიებათა შესრულების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 2 ოქტომბრის № 815 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ:

— წყალსაცავებისა და წყალსატევების ჯეროვანი ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ორგანიზაციასა და კოორდინაციას განახორციელებს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი;

— წყალსაცავებისა და წყალსატევების ნაპირსამაგრებელ, სამელიორაციო, წყალდაცვით და ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის გაუმჯობესების სხვა სამუშაოთა გეგმების პროექტებს შეადგენენ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველო, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, და წარუდგენენ დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს:

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და სახელმწიფო სანიტარიულ-ვეტერინარული ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოებთან, საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოსთან, საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით წყალსაცავების, წყალსაცავთა კასკადების ან სისტემების ექსპლუატაციის წესების დამტკიცება და კონტროლი ამ წესების დაცვისადმი, აგრეთვე წყალსაცავებისა და წყალსატევების წყლის რესურსების გამოყენების ყოველწლიური რეჟიმის განსაზღვრა დადგენილი წესით, წყლების კომპლექსური გამოყენებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნის გათვალისწინებით;

— წყალსაცავებისა და წყალსატევების ნაპირსამაგრებელ, სამელიორაციო, წყალდაცვით და ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის გაუმჯობესების სხვა სამუშაოთა კრებსითი გეგმების შედგენა მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკის მიხედვით და წარდგენა დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მომზადება და დადგენილი წესით შეტანა წინადადებებისა წყალსაცავების და წყალსატევების იმ სანაპირო ზოლების (ზონების) დაწესების შესახებ, რომელთა ფარგლებში შეზღუდულია სამეურნეო საქმიანობა და სრულდება წყალსაცავებისა და წყალსატევების ჯეროვანი სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

3. დაეკისროთ ტექნიკური პასპორტიზაციის განხორციელება:

ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებისა — საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს;

საირიგაციო დანიშნულების წყალსაცავებისა — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს;

განცალკევებული სარგებლობის ტბებისა — საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებას;

სხვა შინაწყალსატევებისა — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს.

4. დაეკისროს წყალსაცავების, წყალსაცავთა კასკადების ან სისტემების და მათი სანაპირო ზოლების (ზონების) ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის სქემების შემუშავების შემკვეთის ფუნქციების შესრულება:

ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებისა — საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს;

საირიგაციო დანიშნულების წყალსაცავებისა და წყალსატევებისა — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს;

განცალკევებული სარგებლობის ტბებისა — საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებას;

სხვა შინაწყალსატევებისა — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს.

5. დაეკისროთ ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფის საიჯარო სამუშაოთა შესრულება:

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს წყალსაცავებისა — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენს“;

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საირიგაციო დანიშნულების წყალსაცავებისა და წყალსატევებისა, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტბებისა და სხვა წყალსატევებისა — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სს რესპუბლიკაში სამელიორაციო მშენებლობის მთავარ სამმართველოს.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარმა საწარმოო სამმართველომ, საქართველოს თევზის მრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წველობის საწარმოო გაერთიანებამ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაონ და განახორციელონ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით წყალსაცავებისა და წყალსატევების სანაპირო ზოლების (ზონების) ფარგლებში ეროზიასაწინააღმდეგო, სატყეო-სამელიორაციო, სატყეო-სამეურნეო და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლისმიერი ეროზიის და წყალსაცავებისა და წყალსატევების დალამვის თავიდან აცილებას, ხელსაყრელი წყლის რეჟიმის დაცვას, წყლის ცხოველთა ბინადრობის პირობების გაუმჯობესებას და ტიპობრივი ან იშვიათი ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებას.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელონ ღონისძიებანი მცენარეთა დაცვის საშუალებებით, მათი ზრდის სტიმულატორებით, მინერალური სასუქებითა და სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სხვა პრეპარატებით, აგრეთვე მეცხოველეობის კომპლექსებისა და ფერმების ჩანადენებით წყალსაცავებისა და წყალსატევების გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის, წყალსატევების სასარგებლო ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებისა და გამდიდრებისათვის; შეიმუშაონ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით წყალსაცავებისა და წყალსატევების სანაპირო ზოლების (ზონების) ფარგლებში ტერიტორიის სამეურნეო-მიწათმოწყობის სქემები.

ამ პუნქტში გათვალისწინებულ სამუშაოთა, აგრეთვე წყალსაცავებისა და წყალსატევების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, კეთილმოწყობასთან და კომპლექსურ გამოყენებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შემსრულებელმა სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა აღნიშნულ სამუშაოთა გეგმები და პროგრამები და დაპროექტების დავალებანი უნდა შეუთანხმონ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში აღნიშნული გეგმები, პროგრამები და დავალებები უნდა შეუთანხმდეს აგრეთვე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სხვა ორგანოებს.

8. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველომ:

— უზრუნველყოს წყალსაცავებისა და წყალსატევების მიმდებარე ტერიტორიებზე შესრულებულ რეგიონალურ ჰიდროგეოლოგიურ და საინჟინრო-გეოლოგიურ სამუშაოთა მასალების, აგრეთვე წყალსაცავებისა და წყალსატევების ნაპირებზე მეწყრული მოვლენების შესწავლისა და პროგნოზირების მასალების წარდგენა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის მათი განაცხადების მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 1979 წლის პირველი ნახევრის ბოლომდე გადასინჯოს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით არსებული საინჟინრო-გეოლოგიური და კომპლექსურ-ჰიდროგეოლოგიური სათვალთვალო ქსელის, მიწისქვეშა წყლების რეჟიმისა და ეგზოგენურ გეოლოგიურ პროცესთა შემსწავლელი საინჟინრო-გეოლოგიური პარტიებისა და ექსპედიციების სტრუქტურა, ამასთან მხედველობაში იქონიოს წყალსაცავებისა და წყალსატევების ნაპირების მეწყრული უბნების სრული თვალთვალი, პირველ რიგში იმ უბნებისა, სადაც საჭიროა განხორციელდეს მათი ჯეროვან ტექნიკურ მდგომარეობაში მოყვანისა და კეთილმოწყობის ღონისძიებანი;

— მიიღოს მონაწილეობა წყალსაცავებისა და წყალსატევების და მათი სანაპირო ზოლების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის სქემების შემუშავებაში, აგრეთვე შეისწავლოს წყალსაცავებისა და წყალსატევების დამეწყრილი ფერდობები და ნაპირები.

9. საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველომ:

— დააწესოს თვალთვალი წყალსაცავებისა და წყალსატევების ჰიდროგეოლოგიური რეჟიმისა და გაჭუჭყიანების დონისადმი და უზრუნველყოს დაინტერესებული ორგანიზაციები წყალსაცავებსა და წყალსატევებში წყლის მოდინების და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების პროგნოზებით, აგრეთვე სასწრაფო ინფორმაციით წყალსაცავებისა და წყალსატევების გაჭუჭყიანების დონის მკვეთრი გადიდების შესახებ;

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს სამეურნეო საქმიანობისა და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების გავლენით წყალსაცავებსა და წყალსატევებში წყლის ხარისხის შეცვლის კომპლექსური პროგნოზები.

10. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარმა საწარმოო სამმართველომ, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებამ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, რომელთა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები იყენებენ იმ წყალსაცავებისა და წყალსატევების წყალშემტბორ ნაგებობებს, რომლებისთვისაც დამტკიცებული არ არის მათი ექსპლუატაციის წესები, უზრუნველყონ 1978-1980 წლებში აღნიშნული წესების შემუშავება, მათი შეთანხმება დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან და წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტში.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დააწესოს სამინისტროებისა და უწყებებისათვის რესპუბლიკის წყალსაცავებისა და წყალსატევების ექსპლუატაციის წესების შემუშავებისა და დამტკიცების ვადები. აკრძალოს იმ ჰიდროკვანძებისა და წყალსაცავების საექსპლუატაციოდ გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა, რომლებისთვისაც დამტკიცებული არ არის ექსპლუატაციის წესები.

11. დაწესდეს, რომ წყალსაცავებად გამოყენებული ტბებისა და სხვა წყალსატევების ექსპლუატაცია ხორციელდება ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 15 დეკემბერი, № 739

82 დაწესებული ლიმიტის გადამეტებით საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დახარჯული წყლის ღირებულების გადიდებული ანაზღაურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ეკონომიკური ზემოქმედება საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც უშვებენ რესპუბლიკის კომუნალური წყალსადენებიდან მიღებული სამეურნეო-სასმელი წყლის გადახარჯვას, გადახდეთ მათ 1979 წლის 1 იანვრიდან ლიმიტის გადამეტებით გადახარჯული წყლის ფასი ხუთმაგი ოდენობით სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ რეკომენდებულ დონეზე.

2. დავავალოთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს განახორციელონ ყველა საჭირო ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიება კომუნალური წყალსადენებიდან მიღებული წყლის ხარჯვის მოწესრიგებისა და მისი არარაციონალური ხარჯვის მაქსიმალურად შემცირებისათვის და არ დაუშვან წყლის ხარჯვა დაწესებული ლიმიტის გადამეტებით.

3. 1979 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 25 იანვრის № 40 დადგენილება „საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ იმ სამეურნეო-სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურების შესახებ, რომელიც დახარჯულია ლიმიტის გადამეტებით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 19 დეკემბერი, № 743

ეროვნული ბიბლიოთეკა

83 „საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების“ გამოყენების თავისებურებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 172 დადგენილების დანართში დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შუამდგომლობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 172 დადგენილების დანართის მე-6 პუნქტს დაემატოს:

— ქ. ბათუმის ტროლეიბუსების სამმართველო.

— ქ. რუსთავის ტროლეიბუსების სამმართველო.

— ქ. გორის ტროლეიბუსების სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 19 დეკემბერი, № 748

84 საქართველოს სს რესპუბლიკაში ანტიკოროზიული სამსახურის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

ა მ ო ნ ა კ რ ე ბ ი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ლითონების კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროთ:

ა) საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს:

— კოორდინაცია გაუწიოს რესპუბლიკაში კოროზიისაგან ლითონების დაცვის დარგში განსახორციელებელ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს;

— განსაზღვროს რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად კოროზიისაგან ლითონების დაცვის დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის სამუშაოთა ძირითადი მიმართულებანი და პროგრამები, აგრეთვე კონტროლი გაუწიოს მათს შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოს კოროზიისაგან ლითონების დაცვის დარგში ზემოაღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებულ ახალ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსება;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — შეიმუშაოს და შეიტანოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმათა პროექტებში კოროზიისაგან ლითონების დაცვის ღონისძიებანი და გამოყოს ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

გ) საქართველოს სსრ სახმშენს:

— განახორციელოს ღონისძიებანი სსრ კავშირის სახმშენის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული კოროზიისაგან სამშენებლო კონსტრუქციების დაცვის სამუშაოთა ძირითადი მიმართულებებისა და პროგრამების შესასრულებლად, აგრეთვე კონტროლი გაუწიოს მათს შესრულებას;

— განახორციელოს სისტემატური კონტროლი კოროზიისაგან სამშენებლო კონსტრუქციების დაცვის ნორმატივების შესრულებისადმი;

დ) თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს — გადაწყვიტოს ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის" კოროზიის ლაბორატორიის გაფართოების საკითხი იმ მიზნით, რომ მის ბაზაზე შეიქმნას ქვედანაყოფი საქართველოს სსრ ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმისა და სხვა ქალაქების მიწისქვეშა ლითონის ნაგებობათა დაცვის საპროექტო დოკუმენტაციის საჭირო მოცულობის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც 1979 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე გამოუყოს აღნიშნულ ინსტიტუტს შესაბამისი სამუშაო ფართობი;

ე) სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს:

— დაგეგმოს და კოორდინაცია გაუწიოს კოროზიის საწინააღმდეგო დაცვის საშუალებებისა და მეთოდების სტანდარტიზაციის სამუშაოებს, რაც რესპუბლიკაში ხორციელდება;

— მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშაობას კოროზიის საწინააღმდეგო დაცვის საშუალებებისა და მეთოდების სტანდარტიზაციისათვის, რასაც სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საბაზო რესპუბლიკური ორგანიზაციები ახორციელებენ.

2. გამოიყოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ სახმშენის ცენტრალური აპარატების საშტატო რიცხოვნობის ფარგლებში კოროზიისაგან ლითონების დაცვის საკითხთა სპეციალისტის თანამდებობა.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ 1979 წლის დამდეგისათვის შექმნან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ლითონების კოროზიისა და დაცვის ლაბორატორიის ბაზაზე კოროზიისაგან ლითონ-კონსტრუქციების, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და ნაგებობების დაცვის დარგში სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშა-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთა კოორდინაციის რესპუბლიკური სამეცნიერო ცენტრი; შეიმუშაოს და დაამტკიცონ შესაბამისი დებულება.

1979 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში კოროზიისაგან ლითონების დაცვასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ანგარიშგების სისტემის ორგანიზაციის შესახებ.

4. სამინისტროებმა, უწყებებმა, სამრეწველო საწარმოებმა, კომუნალურმა და სხვა დაინტერესებულმა დაწესებულებებმა, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა:

— 1979 წლის იანვრის ბოლომდე წარუდგინონ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წინადადებანი კოროზიისაგან ლითონებისა და ნაგებობების დაცვის სამუშაოთა რესპუბლიკურ საკოორდინაციო გეგმაში შესატანად. სამშენებლო პროფილის სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა წარუდგინონ ანალოგიური მასალები საქართველოს სსრ სახმშენს;

— შექმნან საჭიროების კვალობაზე საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში კოროზიისაგან მოწყობილობის, აპარატურის, სამშენებლო კონსტრუქციების, მიწისქვეშა ნაგებობებისა და კომუნიკაციების კომპლექსური დაცვის სპეციალიზებული სამსახურები.

5. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სათბობის, ენერგეტიკისა და მძიმე მრეწველობის განყოფილებას რესპუბლიკაში კოროზიისაგან ლითონების დაცვის საკითხებზე წინადადებათა აღრიცხვის, კონტროლისა და მომზადების ფუნქციები.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 აგვისტოს № 576 დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში მანქანების, მოწყობილობის, ლითონის ნაგებობებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ 1979 წლის იანვრის ბოლომდე შექმნან კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ინსპექციები ან ჯგუფები და სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათს საქმიანობას.

7. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 28 დეკემბერი, № 761

ინდექსი — 76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 1978 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/II-79 წ. ქაღალდის ზომა 70× 108[1]/16
საბეჭდი თაბახი 1,5 სააღრიცხვო თაბახი 1,5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 119 უე 03914 ტირაჟი 2000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

Б 12/63

ეროვნული
ბიბლიოთეკა